



გალტ & ტაგარტი
ვმენით შესაძლებლობებს

თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონება

2025 სრული წლის შეჯამება

ზუკა თავყელიშვილი

ასოცირებული მკვლევარი | ztavkelishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 8973

ოთარ ცუხიშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | otsukhishvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 3018

საბა ჩახვაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი | schakhvashvili@gt.ge | +995 32 2401 111 ext. 5071

ძირითადი მაჩვენებლები

2023

2024

2025

გაყიდვები

ბინების რაოდენობა

39,380

40,637

42,388

პირველადი

17,589

19,934

20,961

მეორადი

21,791

20,703

21,427

ფასი

\$ / მ²

\$1,233

\$1,320

\$1,373

ქირა

\$ / მ²

\$10.7

\$9.7

\$9.8

ნებართვები

'000 მ²

1,940

1,810

1,734




კალო & თაშარტი

ვეწმინთ შესაძლებლობებს

შენიშვნა: ფასები მოცემულია პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებისთვის

უძრავი ქონების გაყიდვების მახასიათებლები 2025 წელს



მთაწმინდა

გაყიდვების რაოდენობა
653 ბინა
საშუალო ფასი
3,294 \$ / მ²
საშუალო ქირა
12.0 \$ / მ²

ვაკე

გაყიდვების რაოდენობა
1,327 ბინა
საშუალო ფასი
2,781 \$ / მ²
საშუალო ქირა
14.2 \$ / მ²

ჩულურეთი

გაყიდვების რაოდენობა
1,155 ბინა
საშუალო ფასი
1,973 \$ / მ²
საშუალო ქირა
9.9 \$ / მ²

საბურთალო

გაყიდვების რაოდენობა
7,186 ბინა
საშუალო ფასი
1,613 \$ / მ²
საშუალო ქირა
11.3 \$ / მ²

კრწანისი

გაყიდვების რაოდენობა
2,792 ბინა
საშუალო ფასი
1,575 \$ / მ²
საშუალო ქირა
10.5 \$ / მ²

ისანი

გაყიდვების რაოდენობა
3,090 ბინა
საშუალო ფასი
1,358 \$ / მ²
საშუალო ქირა
10.2 \$ / მ²

დიღუბე

გაყიდვების რაოდენობა
2,895 ბინა
საშუალო ფასი
1,352 \$ / მ²
საშუალო ქირა
8.5 \$ / მ²

ნაძალადევი

გაყიდვების რაოდენობა
3,145 ბინა
საშუალო ფასი
1,189 \$ / მ²
საშუალო ქირა
9.4 \$ / მ²

დიდი დიდოში

გაყიდვების რაოდენობა
9,440 ბინა
საშუალო ფასი
1,076 \$ / მ²
საშუალო ქირა
8.5 \$ / მ²

სამგორი

გაყიდვების რაოდენობა
6,049 ბინა
საშუალო ფასი
1,065 \$ / მ²
საშუალო ქირა
8.4 \$ / მ²

ვაშლიჯვარი

გაყიდვების რაოდენობა
539 ბინა
საშუალო ფასი
1,062 \$ / მ²
საშუალო ქირა
9.3 \$ / მ²

გლდანი

გაყიდვების რაოდენობა
4,117 ბინა
საშუალო ფასი
1,038 \$ / მ²
საშუალო ქირა
8.4 \$ / მ²



2025 წლის მიმოხილვა

შეჯამება

2025 წლის სუსტმა დასაწყისმა ბაზარზე ნეგატიური მოლოდინები გააჩინა, თუმცა თბილისის საცხოვრებელი უძრავი ქონების ბაზრისთვის წელი მოთხოვნის აღდგენითა და ფასის დასტაბილურებით დასრულდა. მიუხედავად ამისა, ბაზარზე ჭარბი მიწოდების რისკები კვლავ შენარჩუნდა. წლის დასაწყისში, ქვეყანაში არსებულმა შიდა პოლიტიკურმა არასტაბილურობამ მყიდველთა ნაწილს შესყიდვის გადავადებისკენ უბიძგა, რამაც მოთხოვნა მნიშვნელოვნად შეაუსტა. თუმცა, ამ პერიოდში დაგროვილი მოთხოვნა წლის მეორე ნახევარში რეალიზდა. შედეგად, გაყიდვები 2025 წელს 2023-24 წლებთან შედარებით გაიზარდა, თუმცა კვლავ ჩამორჩებოდა 2022 წლის რეკორდულ მაჩვენებელს. მიწოდების მხარეს დაფიქსირებული მცირედი კლების მიუხედავად, გაცემული ნებართვების მოცულობა კვლავ მნიშვნელოვნად აჭარბებს 2015-22 წლების ნიშნულს. 2025 წელს, გაზრდილმა კონკურენციამ ფასის ზრდის ტემპის შენელება გამოიწვია და დეველოპერებს შიდა განვადების სქემების მაქსიმალურად დახვეწისკენ უბიძგა.

2026 წელს, ჩვენი მოლოდინია, რომ მოთხოვნა 2025 წლის დონესთან ახლოს შენარჩუნდება, რასაც ხელს შეუწყობს ფუნდამენტური ფაქტორები - ურბანიზაცია, ოჯახის საშუალო ზომის შემცირება და ქირის მაღალი ამონაგები. ჩვენი მოლოდინით, უძრავი ქონების ფასებზე ერთნიშნა ზრდა გაგრძელდება და მეტწილად დამოკიდებული იქნება მიწოდების მხარეს ცვლილებებზე. დაგეგმილი მსხვილი პროექტების გაყიდვების დაწყებამ და გაცემული ნებართვების მოცულობის მაღალ დონეზე შენარჩუნებამ შესაძლოა ბაზარზე ჭარბი მიწოდების რისკები გაზარდოს და ფასის ზრდა გაართულოს.

მოთხოვნა

2025 წელს, სატარო რეესტრის მონაცემებით, გაყიდული ბინების რაოდენობამ **42,388** შეადგინა, რაც გასულ წელთან შედარებით 4.3% ზრდაა.

- **მეორად ბაზარზე** გაყიდვები დეკემბერში წლიურად 12.3%-ით გაიზარდა (+3.5% წ/წ 2025 წელს).
- **პირველად ბაზარზე** გაყიდვები, რაზეც გავლენას დაგვიანებული რეგისტრაციები ახდენს, დეკემბერში წლიურად 5.4%-ით გაიზარდა (+5.2% წ/წ 2025 წელს).

ჩვენ მიერ ჩატარებული დეველოპერების გამოკითხვის მიხედვით, რომელიც **პირველადი ბაზრის** ტენდენციებს რეალურ დროში ასახავს, 2025 წლის დეკემბერში გაყიდვები წლიურად გაორმაგდა. ამის მიზეზი დაბალი ბაზის ეფექტი იყო 2024 წლის დეკემბერში, როცა ქვეყანაში შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა დაიწყო. ჯამურად, 2025 წელს პირველად ბაზარზე გაყიდული ბინების რაოდენობა წლიურად 27.3%-ით გაიზარდა.

მიწოდება

2025 წელს, გაცემული ნებართვების მოცულობა წლიურად 4.2%-ით 1.7 მლნ კვ.მ-მდე შემცირდა, რაც მეოთხე კვარტალში ნებართვების მკვეთრი კლებითაა განპირობებული. მიუხედავად კლებისა, ნებართვების მოცულობა კვლავ მაღალ დონეზე შენარჩუნდა და 32%-ით გადააჭარბა 2015-22 წლის საშუალო მაჩვენებელს.

ფასები

2025 წელს ფასები გაიზარდა როგორც პირველად, ასევე მეორად ბაზრებზე. 2025 წლის 9 თვის განმავლობაში პირველად ბაზარზე ფასის ზრდის ტემპი დაბალი იყო (0.2% თვიურად), თუმცა, მოთხოვნის აღდგენისა და გაცემული ნებართვების შემცირების ფონზე, 2025 წლის მეოთხე კვარტალში ზრდა დაჩქარდა თვიურ 0.7%-მდე. შესაბამისად, პირველად ბაზარზე საშუალო ფასი წლიურად 4.0%-ით გაიზარდა, რაც ზრდის ტემპის დასტაბილურების ნიშანია 2024 (+11.6% წ/წ) და 2023 (+20.2% წ/წ) წლებთან შედარებით. 2025 წლის დეკემბერში მეორად ბაზარზე (2013 წლის შემდეგ გაცემული ნებართვებით აშენებული ახალი შენობების) საშუალო ფასი წლიურად 7.9%-ით გაიზარდა.


ქირა

2025 წელს, ქირის ფასი კვ.მ-ზე \$9-10 დოლარის ფარგლებში შენარჩუნდა, რაც 2024 წლის შემდეგ სტაბილურობის ახალი დიაპაზონია. 2025 წლის დეკემბერში, თბილისში საშუალო ზომის ბინის (50-60 კვ.მ) ქირის ფასმა 9.8 აშშ დოლარი შეადგინა კვ.მ-ზე, ქირის ამონაგებმა კი - 8.6%.



უძრავი ქონების მოთხოვნა


გრაფიკი 1: თვიურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: პირველადი ბაზრის ტრანზაქციების მაჩვენებელი ჩამორჩება რეალურ მონაცემებს; რეალურ დროში მონაცემებს ასახავს გალტ & თაგარტის დეველოპერების გამოკითხვა (დეტალებისთვის იხილეთ შემდეგი გვერდი)


გრაფიკი 2: ჯამურად გაყიდული ბინების რაოდენობა, '000 ერთეული



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: საჯარო რეესტრის მონაცემებში პირველად ბაზარზე დაგვიანებული ტრანზაქციების ეფექტის გამო, პირველადი ბაზრის ზომა დაკორექტირებულია რეალურ დროში ტენდენციებთან შესაბამისად.

გრაფიკი 3: ჯამური ბაზრის ზომა, მლნ აშშ დოლარი



პირველადი ბაზარი - დეველოპერსა და ფიზიკურ პირს შორის განხორციელებული ტრანზაქცია

მეორადი ბაზარი - ფიზიკურ პირებს შორის განხორციელებული ტრანზაქცია.

ბინების გაყიდვების სტატისტიკა ეფუძნება საჯარო რეესტრის მონაცემებს, სადაც პირველადი ბაზრის ტრანზაქციები დაგვიანებით აისახება. ამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ჩვენ სისტემატურად ვატარებთ დეველოპერების გამოკითხვას




გალტ & თაგარტის სისტემური დეველოპერების გამოკითხვა

2026 წლის იანვარში, ჩვენ ჩავატარეთ სისტემური დეველოპერების გამოკითხვა, რომელიც მოიცავდა 100-ზე მეტ მშენებარე საცხოვრებელ პროექტს თბილისში (ჯამურად პირველადი ბაზრის დაახლოებით 50%-ს).

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით:


- 2025 წლის დეკემბერში, გაყიდვები შერჩეული დეველოპერების პროექტებში რეკორდულად გაიზარდა და სექტემბრის პიკურ მაჩვენებელს გადააჭარბა, რაც აღდგენილ მოთხოვნასა და საახალწლო შეთავაზებებს უკავშირდება. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური დინამიკა ფიქსირდება გაყიდული ბინების ფართობის მიხედვითაც.
- 2025 წლის დასაწყისში, სუსტი მოთხოვნის ფონზე გაყიდვები 2025 წლის 4 თვეში შემცირდა (-4.1% წ/წ). თუმცა, მომდევნო 8 თვის განმავლობაში მოთხოვნა აღდგა (+42.0% წ/წ), რასაც ხელი შეუწყო რამდენიმე მასშტაბურ პროექტში გაყიდვების დაწყებამ. ჯამში, გაყიდვები წლიურად 27.3%-ით გაიზარდა.
- პროექტებში, რომლებიც 2025 წელს დასრულდა, ბინების 94% გაყიდულია. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებელი 2024 წლის 98%-იან ნიშნულს მცირედით ჩამორჩება, ის კვლავ მაღალია. აღსანიშნავია, რომ გაყიდვების ძირითადი ნაწილი დეველოპერების მიერ შეთავაზებული მაქსიმალურად დახვეწილი შიდა განვადებებით განხორციელდა.

გრაფიკი 4: თვიურად გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობა




წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა

გრაფიკი 5: ჯამურად გაყიდული უძრავი ქონების რაოდენობა




გრაფიკი 6: საბინაო ფონდის განაწილება დასრულების წლისა და სტატუსის მიხედვით



წყარო: გალტ & თაგარტის შერჩეული დეველოპერების გამოკითხვა
შენიშვნა: გამოთვლები ეყრდნობა გაყიდული ბინების რაოდენობას


გრაფიკი 7: უძრავი ქონების გაყიდვები მოქალაქეობის მიხედვით






უძრავი ქონების მიწოდება

გრაფიკი 8: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი, '000 კვ.მ



გრაფიკი 9: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების რაოდენობა




წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალატ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართებს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს

გრაფიკი 10: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემულ ნებართვებში საცხოვრებელი ფართობი თვეების მიხედვით, '000 კვ.მ



წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალატ & თაგარტი


შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართებს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს



უძრავი ქონების ფასი და ქირა


გრაფიკი 11: უძრავი ქონების საშუალო შეწონილი ფასები, აშშ დოლარი/კვ.მ




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მეორადი ახალი პროექტები მოიცავს შენობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლიდან;
2) მეორადი ძველი პროექტები მოიცავს შენობებს, რომლებზეც მშენებლობის ნებართვა გაიცა 2013 წლამდე

გრაფიკი 12: თვიური ფასების ცვლილება პირველად ბაზარზე, %




გრაფიკი 13: ქირის საშუალო შეწონილი ფასი თბილისში, აშშ დოლარი/კვ.მ



წყარო: ეროვნული ბანკი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: ქირები მოცემულია თბილისში ახალშენებულ 50-60 კვ.მ ბინებზე


გრაფიკი 14: უძრავი ქონების ქირის შემოსავლიანობის და დეპოზიტის განაკვეთები






თბილისის უბნები

გრაფიკი 15: თბილისში გაყიდული ბინების რაოდენობა უბნების მიხედვით



წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 16: თბილისში საცხოვრებელ უძრავ ქონებაზე გაცემული სამშენებლო ნებართვების ფართობი უბნების მიხედვით, '000 კვ.მ




წყარო: არქიტექტურის სამსახური, გალტ & თაგარტი

შენიშვნა: 1) მოიცავს საცხოვრებელ და საზაფხულო ფართებს

2) მოიცავს მხოლოდ III და IV კლასის მრავალბინიან/მრავალფუნქციურ შენობებს

გრაფიკი 17: უძრავი ქონების ფასები პირველადი ბაზრის თეთრი კარკასის ბინებზე უბნების მიხედვით, აშშ დოლარი/კვ.მ




წყარო: გალტ & თაგარტი

შენიშვნა: მთაწმინდა და ჩუღურეთი არ არის გათვალისწინებული პროექტების მცირე რაოდენობის გამო




უძრავი ქონების მახასიათებლები

გრაფიკი 18: უძრავი ქონების გაყიდვები ზომის მიხედვით (წილი მთლიან გაყიდვებში, %)




წყარო: საჯარო რეესტრი, გალტ & ტაგარტი

გრაფიკი 19: უძრავი ქონების გაყიდვები ფასის სეგმენტის მიხედვით (წილი მთლიან გაყიდვებში, %)



გრაფიკი 20: მშენებლობის ღირებულების ინდექსი, I კვარტალი 2019=100




წყარო: საქსტატი, გალტ & ტაგარტი

	წ/წ ზრდა ნოვ-25, აშშ დოლარი	თვე/თვე ზრდა ნოვ-25, აშშ დოლარი
მშენებლობის ღირებულება	6.4%	0.9%
სამშენებლო მასალები	1.2%	0.5%
ხელფასები	22.4%	1.7%
ტექნიკა	3.2%	0.1%
ტრანსპორტი, საწვავი და ელექტროენერგია	0.3%	0.2%
სხვა ხარჯები	6.1%	0.8%




დანართი

გრაფიკი 21: უძრავი ქონების ფასების დიაპაზონი პირველად ბაზარზე უბნების მიხედვით დეკ-25, აშშ დოლარი/კვ.მ




წყარო: გალტი & თაგარტი

გრაფიკი 22: ქირის საშუალო შენონილი ფასები, აშშ დოლარი/კვ.მ



წყარო: ეროვნული ბანკი, ნუმბეო, გალტი & თაგარტი

გრაფიკი 23: ქირის შემოსავლიანობა ქალაქების მიხედვით, 2025 წლის დეკემბერი





მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს Lion Finance Group ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიერ მიიღო, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტთან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი მონაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ასოცირებული მკვლევარი
ზუკა თავყელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი
საბა ჩახვაშვილი | schakhvashvili@gt.ge

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0108, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge